საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

გ. ბუცხრიკიძე თ. ყურაშვილი

ფურებისა და დეკეულების სამეანო - გინეკოლოგიური დ ი ს პ ა ნ ს ე რ ი ზ ა ც ი ა

(რეკომენდაცია)

თბილისი 2024 წ.

საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

გ. ბუცხრიკიძე თ. ყურაშვილი

ფურებისა და დეკეულების სამეანო - გინეკოლოგიური დ ი ს პ ა ნ ს ე რ ი ზ ა ც ი ა

(რეკომენდაცია)

თბილისი 2024 წ.

UDC (უაკ) 619..618.1/2
ბ-99

სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია ფურებში და დეკეულებში არის განაყოფიერებამდე და მშობიაროზის შემდგომი გინეკოლოგიური ანომალიებისა და პათოლოგიების, მათ შორის: სასქესო ორგანების განუვითარებლობის, მშობიაროზის შემდგომი ენდომეტრიტების, პროფილაქტიკისა და დროული დიაგნოსტიკის საფუძველი.

დისპანსერიზაციით გათვალისწინებული რეკომენდაციები გააუმჯობესებს ცხოველთა საერთო მდგომარეობას, რეზისტენტობას და თავიდან აგვაცილებს ცხოველთა რიგ დაავადებებს, გაზრდის მათ პროდუქტიულობას.

რეკომენდაციების დანერგვა სასარგებლო იქნება ფერმერებისათვის და საოჯახო ფერმის მესაკუთრეებისათვის.

ავტორები:

გიორგი ბუცხრიკიძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

თენგიზ ყურაშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სსმმ აკადემიის მეცხოველეობის და ვეტერინარიის მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი

რეცენზენტი:

ჯემალ გუგუშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი

რედაქტორი:

მარინე ბარვენაშვილი – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, სოფლის მეურნეობის დოქტორი

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „აგრო“

ISBN 978-9941-8-6667-8

ფურებისა და დეკეულების სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია

დისპანსერიზაცია წარმოადგენს ღონისძიებების სისტემას, რომელიც მიმართულია დაავადებების სუბკლინიკური და კლინიკური ფორმების დროულ გამოვლენაზე, მათ პროფილაქტიკაზე და მკურნალობაზე, რომლის ჩატარების მეთოდიკა მუდმივად უმჯობესდება.

გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია შედგება შემდეგი ნაწილებისაგან: პირუტყვის მოვლა-შენახვის სისტემები, რომელიც ეყრდნობა ცხოველთა კეთილდღეობის 5 პრინციპს:

1. თავისუფლება შიმშილის (დაუნაყრობის) და წყურვილისაგან.

2. თავისუფლება დისკომფორტული შენახვისაგან.

3. თავისუფლება ტკივილის, ტრავმების და დაავადებებისაგან.

4. თავისუფლება სტრესებისაგან.

5. თავისუფლება სახეობისათვის დამახასიათებელი ქცევების გამოხატვისას.

რეპროდუქციული პროცესების მაღალ დონეზე წარმართვა და ცხოველური სურსათის წარმოების სწორი ორგანიზაცია დამოკიდებულია: ტექნოლოგიურ, ტექნიკურ და ორგანიზაციულ-ეკონომიურ ღონისძიებაზე.

ტექნოლოგიური (ზოოტექნიკური და ვეტერინარული) ღონისძიებები ითვალისწინებს: ნახირის აღწარმოებას, სანაშენე საქმეს, ცხოველთა იდენტიფიკაციას და რეგისტრაციას, მოვლა-შენახვის, კვების (საკვები ულუფის შედგენის) მოგვარებას და ვეტერინარულ მომსახურებას.

ტექნიკური ღონისძიებები ითვალისწინებს: ცხოველების უზრუნველყოფას აუცილებელი შენობა ნაგებობებით, მოწყობილობებით, მანქანა-დანადგარების სისტემებით (საკვების დამზადების, ტრანსპორტირების, მისი დარიგების, დაწყურების, წველის და სხვა მოწყობილობებით)

ტექნიკურ ღონისძიებებს განეკუთვნება აგრეთვე ცხოველთა სადგომებში ვენტილაცია, ნარჩენების, ექსკრემენტების (ნაკელის) გატანის, წველის, რძის პირველადი გადამუშავების, კვერცხის შეკრების და სხვა პროცესების ტექნიკური აღჭურვა.

ორგანიზაციულ-ეკონომიური ღონისძიებები ითვალისწინებს: მეურნეობის სპეციალიზაციის განსაზღვრას, ფერმის რაციონალური სიდიდის დადგენას, წარმოების დაგეგმარებას, პროდუქციის წარმოების ეკონომიკურ-ეფექტურ რეგულირებას და შრომის სწორ ორგანიზაციას.

მეცხოველეობაში სამრეწველო ტექნოლოგიების დანერგვასთან, საქონლის სულადობის მნიშვნელოვან კონცენტრაციასთან, მის ინტენსიურ გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოიქმნება ცხოველების ჯანმრთელობის მუდმივი და სისტემატური კონტროლის, კომპლექსური პროფილაქტიკური ღონისძიებების დროულად ჩატარების აუცილებლობა, რათა თავიდან იქნას აცილებული გინეკოლოგიური დაავადებების განვითარების რისკი. გარდა ამისა, ასევე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სასოფლო- სამეურნეო ცხოველების მაღალი პროდუქტიულობა და ნაყოფიერება.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დისპანსერიზაციის ჩატარება აუცილებელი ღონისძიებაა ყველა მეურნეობისთვის.

ჩვეულებრივი ტიპის მერძევეობის ფერმებში დისპან-

სერიზაცია, როგორც წესი შემოდგომაზე (ოქტომბერი-ნოემბერი) და ბაგური შენახვის პერიოდის ბოლოს (მარტი-აპრილი) ტარდება. სამრეწველო კომპლექსებსა და მსხვილ სპეციალიზირებულ ფერმებში დისპანსერიზაციას ახორციელებენ, როგორც ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელ ნაწილს, მისი დაყოფით ძირითად და მიმდინარე დისპანსერიზაციებად. ძირითად დისპანსერიზაციას ატარებენ წელიწადში ერთხელ (იანვარი-თებერვალი), მიმდინარეს (შუალედურს) – კვარტალში ერთხელ.

ზოგადი დისპანსერიზაცია ვერ ჩაანაცვლებს სისტემატურ ვეტერინარულ მუშაობას, რომელიც მიმართულია ნახირის მაღალი მწარმოებლური პოტენციალის შენარჩუნებაზე, დისპანსერიზაციის ჩატარების აუცილებლობაზე, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ცხოველების მწარმოებლურობის ფუნქციის სათანადო ვეტერინარულ კონტროლის უზრუნველყოფა, რაზედაც მიუთითებს ბევრი ჩვენი წამყვანი სპეციალისტი.

მეცნიერებისა და პრაქტიკოსების უმეტესობის აზრით, **სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია** აუცილებლად უნდა განიხილებოდეს, როგორც ვეტერინალური ღონისძიებების სისტემა, რომელიც მიმართულია გამრავლების ორგანოების და სარძევე ჯირკვლის დაავადებების დროულ გამოვლენაზე, პროფილაქტიკასა და მკურნალობაზე, პირუტყვის მწარმოებლურობის უნარისა და პროდუქტიულობის შენარჩუნებაზე, მათ განაყოფიერებაზე ტექნოლოგიით განსაზღვრულ ვადებში და ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი ნამატის მიღებაზე.

თანამედროვე პირობებში სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია უნდა იყოს მიმართული ძირითადად ფურების სულადობის ეფექტურად გამოყენების ამაღლებაზე.

განასხვავებენ სამეანო დისპანსერიზაციას, რომელიც გულისხმობს ვეტერინარულ სამუშაოების ჩატარებას ფურებთან, დაწყებული მათი განაყოფიერებიდან დამთავრებული მშობიარობის შემდეგ სასქესო ორგანოების ინვოლუციით, და უნაყოფო ცხოველების გინეკოლოგიურ დისპანსერიზაციას, რომელიც მოიცავს დიაგნოსტიკური, სამკურნალო და პროფილაქტიკური ღონისძიებების კომპლექსს.

სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაცია, შედგება მთელი რიგი ღონისძიებებისგან, რომლებიც შესაძლებელია სამ ჯგუფად დაიყოს:

1. ვეტერინარული ღონისძიებები, რომლებიც მუდმივად სრულდება მთელი წლის განმავლობაში:

ა) ფურების საკვების ხარისხის საიმედოობის კონტროლი;

ბ) მინერალების და ვიტამინების უკმარისობის პროფილაქტიკა მშრალობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდში;

გ) ფურების კლინიკურ-გინეკოლოგიური გამოკვლევები მშობიარობის შემდგომ პერიოდში;

დ) ფურების გამოკვლევები მასტიტზე მშრალობამდე და მშობიარობის შემდომ პერიოდში;

ე) მშობიარობის ორგანიზაცია და სამშობიარო განყოფილებაში ვეტერინარულ-სანიტარული წესების დაცვის კონტროლი;

ვ) მშობიარობის შემდგომი გართულებების ფარმაკო-პროფილაქტიკა;

ზ) კონტროლი ხელოვნური განაყოფიერების ჩატარებაზე;

თ) მშობიარობის შემდგომი პერიოდში პათოლოგიის მქონე ფურების მკურნალობა;

ი) ავადმყოფი ფურების საშვილოსნოს გამოკვლევა (2-3 უშედეგო განაყოფიერების შემდეგ);

კ) მასტიტის კლინიკური ფორმების მქონე ფურების მკურნალობა.

2. ყოველთვიურად ჩასატარებელი ღონისძიებები:

ა) შემოწმება მაკეობაზე რექტალურად;

ბ) ავადმყოფი ფურების და დეკეულების კლინიკურ-გინეკოლოგიური კვლევა;

გ) ფურების შემოწმება ფარულ მასტიტზე ლაქტაციის პერიოდში;

დ) ნახირის ფიზიოლოგიურ-კლინიკური მდგომარეობის ანალიზი;

ე) ფარული მასტიტით დაავადებული ფურების მკურნალობა;

ვ) ავადმყოფი ფურების დიფერენცირებული მკურნალობა;

ზ) ავადმყოფი ფურების სასქესო ორგანოების ფუნქციის სტიმულაცია.

3. ყოველკვარტალურად ჩასატარებელი ღონისძიებები

ა) ხანგრძლივად უნაყოფო ფურებისა და დეკეულების კლინიკურ-გინეკოლოგიური კვლევა;

ბ) გამრავლებისათვის უვარგისი ფურების და დეკეულების გადარჩევა;

გ) სასქესო ინფექციების და ინვაზიების ლაბორატორიული დიაგნოსტიკა (საჭიროების შემთხვევაში);

დ) საკვების ქიმიური ანალიზი და ხარისხის საიმედოობს განსაზღვრა;

ე) სისხლის, რძის და შარდის ბიოქიმიური ანალიზი (შერჩევითი);

ვ) ნახირის აღწარმოების მდგომარეობის ანალიზი, ნამატის მიღების პროგნოზირება.

სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაციისთვის საჭირო ყველა ღონისძიების დროული და კვალიფიციური შესრულება იძლევა შესაძლებლობას ამაღლდეს ფურების ვეტერინარული მომსახურების დონე და შედეგიანობა, ამასთანავე მოხდეს ნახირის აღწარმოების და ცხოველების პროდუქტიულობის გაუმჯობესება.

სამეანო დისპანსერიზაციას ატარებენ ორჯერ – მშრალობის პერიოდში და მშობიარობის დასაწყისში.

1-ლი სამეანო დისპანსერიზაცია ითვალისწინებს:

1. ფურების დროულ და სწორ გაშვებას მშრალობაზე, რომელსაც ატარებენ მოგებამდე 50-60 დღით ადრე. ამ დროს ამცირებენ წვნიანი და კონცენტრირებული საკვების მიცემას, ზრდიან თივის რაოდენობას, აკვირდებიან ცურის მდგომარებას.

2. მშრალობის პერიოდში ატარებენ კლინიკურ კვლევებს და სისხლის ბიოქიმიურ ანალიზს. თვეში ერთხელ ტარდება ცურის გამოკვლევა სეკრეტის ანალიზით ფარულ

მასტიტზე. ყოველ დეკადაში განსაზღვრავენ რაციონის სრულფასოვნებას (საკვების გამოკვლევების და სისხლის ბიოქიმიური ანალიზის საფუძველზე). ცხოველები ყოველდღიურად გაჰყავთ მოციონზე, მიმდინარეობს მიკროკლიმატის კონტროლი.

3. თვალყურს ადევნებენ მშობიარობის დაწყების ნიშნებს, რომ უზრუნველყონ სამშობიარო განყოფილებაში ცხოველის გადაყვანა მშობიარობამდე 8-10 დღით ადრე.

მე-2 სამეანო დისპანსერიზაცია ტარდება სამშობიარო განყოფილებაში. მშობიარობის მიმდინარეობის მიხედვით ფურებს სამ ჯგუფად ყოფენ:

პირველ ჯგუფში შეყავთ ფურები მშობიარობის ნორმალური მიმდინარეობით. თვალყურს ადევნებენ ლოქიების გამოყოფას, შეშუპებების გაქრობის ვადებს, გარე სასქესო ორგანოების და სარძევე ჯირკვლების მდგომარეობას. სასქესო ორგანოების ინვოლუციის დასაჩქარებლად ამ ჯგუფის ფურები მშობიარობიდან 3-4 დღის შემდეგ გაჰყავთ მოციონზე (სასეირნოდ).

მეორე ჯგუფს შეადგენენ მშობიარობის დროს ისეთი გართულებების მქონე ფურები, როგორიცაა ნაყოფის გაძნელებული გამოძევება და მომყოლის შეჩერება თვითნებური მოშორებით 6-8 საათამდე დაგვიანებით. იყენებენ საშვილოსნოს სამკურნალო საშუალებებს, ფურები გაჰყავთ მოციონზე.

მესამე ჯგუფს შეადგენენ ფურები მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი პერიოდის გართულებებით, როგორიცა: ნაყოფის არასწორი მდებარეობები, მისი სიმახინჯეები, საშვილოსნოს გამოვარდნა, მომყოლის შეჩერება და ა.შ. ფურებს უტარდებათ შესაბამისი სამეანო დახმარება: 3-4 დღეში გაჰყავთ მოციონზე, უტარდებათ ცურის მასაჟი, ყოველ-

დღიურად 5-10 წუთის განმავლობაში სასქესო ორგანოების მასაჟი სწორი ნაწლავიდან.

სამშობიარო განყოფილებიდან გამოყვანის წინ ცხოველებს, (მშობიარობიდან 10-15 დღის შემდეგ) უტარებენ სასქესო აპარატისა და სარძევე ჯირკვლის გამოკვლევებს.

გინეკოლოგიურ დისპანსერიზაციას ატარებენ ყოველთვიურად. გამოკვლევებს ცხოველებს უტარებენ:

1. მაკეობაზე – რომლებსაც განაყოფიერება ჩაუტარდა ორ თვეზე მეტი ხნის წინ.

2. იმ ფურებს, რომლებსაც არ გამოუვლენიათ ახურების კლინიკური ნიშნები მშობიარობიდან ერთი თვის შემდეგ.

3. ფურებს – ორი უშედეგო განაყოფიერების შემდეგ.

4. დეკეულებს, რომლებიც არ განაყოფიერებულან ფიზიოლოგიური სიმწიფის მიღწევის შემდეგ ერთი თვის განმავლობაში.

ასეთი გამოკვლევა წარმოადგენს სამეანო-გინეკოლოგიური დისპანსერიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლს, რადგან იგი ადრეულ სტადიებზე იძლევა უნაყოფო ცხოველების გამოვლენის, გინეკოლოგიური დაავადებების აღმოჩენის და მათი მკურნალობის ორგანიზაციის შესაძლებლობას. სამკურნალო სამუშაოების დროული ჩატარება არამხოლოდ ზრდის მის ეფექტურობას, არამედ იძლევა გამრავლების ორგანოებში მყარი ცვლილებების, მუდმივი უნაყოფობის განვითარების თავიდან აცილების საშუალებას.

1,2,3,4 ცხრილში მოცემული ინფორმაცია დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალისტებს ეფექტურად ჩაატარონ ცხოველთა გინეკოლოგიური დისპანზერიზაცია.

ცხრილი 1

მამრ ცხოველთა სქესობრივი და ფიზიოლოგიური სიმწიფე

ცხოველის სახეობა	ცხოველის ასაკი	
	სქესობრივი სიმწიფე	ფიზიოლოგიური სიმწიფე
კურო	6 – 9 თვე	16 – 18 თვე
ყოჩი	6 – 8 თვე	15 – 18 თვე
ბოტი	7 – 8 თვე	1,5 – 2 წელი
კერატი	5 – 6 თვე	10 – 11 თვე
ულაყი	12 -15 თვე	3 – 4 წელი
აქლემი	2,5 – 3 წელი	4 – 5 წელი
ბოცვერი	4 - 5 თვე	5 – 8 თვე
ძაღლი (ხვადი)	6 – 8 თვე	12 – 14 თვე
კატა	4 - 5 თვე	10 -12 თვე

ცხრილი 2

მდედრ ცხოველთა სქესობრივი და ფიზიოლოგიური სიმწიფე

ცხოველის სახეობა	ცხოველის ასაკი	
	სქესობრივი სიმწიფე	ფიზიოლოგიური სიმწიფე
დეკეული (ფური)	8 – 12 თვე	18 – 24 თვე
ცხვარი, თხა	6 – 8 თვე	12 – 15 თვე
ნეზვი (ქუბი)	5 – 8 თვე	9 – 12 თვე
ფაშატი (ჭაკი)	12 – 18 თვე	3 – 5 წელი
აქლემი	2 – 5 წელი	6 წელი
ძაღლი (ძუ)	6 – 8 თვე	1 – 2 წელი
კატა	4 – 5 თვე	10 – 12 თვე
ბოცვერი	4 – 5 თვე	5 – 8 თვე

ცხრილი 3

ცხოველთა მაკეობის ხანგრძლივობა

ცხოველის სახეობა	უკიდურესი ვადა (დღე)	საშუალო ვადა (დღე)	საშუალო ვადა (თვე)
ფური (ძროხა)	270-310	285	9
ჭაკი, ფაშატი (ცხენი)	320-355	336	11
ქუბი (ღორი)	110-120	114	4
ნერბი (ცხვარი), თხა	145-160	150	5
ძაღლი (ძუ)	28-33	63	2
კატა	56-60	58	2
ბოცვერი	28-33	30	1

ცხრილი 4

ფურებისა და დეკეულების მაკეობის კალენდარი

დათესვლის თარიღი	მოგების თარიღი		
	ნაადრევი მშობიაროობა	მშობიაროობა ნორმაში	მშობიაროობის დროის გადაშორება
01.01	30.09	10.10	20.10
05.01	03.10	13.10	27.10
10.01	08.10	17.10	30.10
15.01	15.10	25.10	05.11
20.01	20.10	30.10	10.12
25.01	20.10	30.10	10.12
30.01	30.10	10.12	20.12
05.02	05.11	15.11	25.11
10.02	10.11	20.11	30.11
15.02	15.11	25.11	05.12
20.02	20.11	30.11	10.12
25.02	25.11	05.12	15.12
05.03	30.11	10.12	20.12
10.03	05.12	15.12	25.12
15.03	10.12	20.12	03.12

ცხრილი 4-ის გაგრძელება

20.03	15.12	25.12	05.01
25.03	20.12	30.12	10.01
30.03	25.12	05.01	15.01
05.04	30.12	10.01	20.01
10.04	05.01	15.01	25.01
15.04	10.01	20.01	30.01
20.04	15.01	25.01	05.02
25.04	20.01	30.01	10.02
30.04	25.01	05.02	15.02
05.05	30.01	10.02	20.02
10.05	05.02	15.02	25.02
15.05	10.02	20.02	02.03
20.05	15.02	25.02	10.03
25.05	20.02	05.03	15.03
30.05	25.02	05.03	15.03
05.06	05.03	15.03	25.03
10.06	10.03	20.03	30.03
15.06	15.03	25.03	05.04
20.06	20.03	30.03	10.04
25.06	25.03	05.04	15.04
30.06	30.03	10.06	20.06
05.07	01.04	10.04	20.04
10.07	05.04	15.04	25.04
15.07	10.04	20.04	30.04
20.07	14.04	25.04	05.05
25.07	20.04	30.04	10.05
30.07	25.05	05.05	15.05
05.08	30.04	10.05	20.05
10.08	05.05	15.05	25.05
15.08	10.05	20.05	30.05
20.08	15.05	25.05	05.06
25.08	20.05	30.05	10.06
30.08	25.05	05.06	15.06
05.09	30.05	10.06	20.06
10.09	05.06	15.06	25.06
15.09	10.06	20.06	30.06

ცხრილი 4-ის გაგრძელება

20.09	15.06	25.06	10.07
25.09	20.06	30.06	10.07
30.09	25.06	05.07	15.07
05.10	30.06	10.07	20.07
10.10	05.07	15.07	25.07
15.10	10.07	20.07	30.07
20.10	15.07	25.07	05.08
25.10	20.07	30.07	10.08
30.10	25.07	05.08	15.08
05.11	30.07	10.08	20.08
10.11	05.08	15.08	25.08
15.11	10.08	20.08	30.08
20.11	15.08	25.08	05.09
25.11	20.08	30.08	10.09
30.11	25.08	05.09	15.09
05.12	30.08	10.09	20.09
10.12	05.09	15.09	25.09
15.12	10.09	20.09	30.09
20.12	15.09	25.09	05.10
25.12	20.09	30.09	10.10
30.12	25.09	05.10	15.10

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Лечебно-профилактические мероприятия при акушерских и гинекологических болезнях коров «Витебск вгавм», 2012.

2. Международный вестник ветеринарии «Санкт- Петербург», 2013.

რეზიუმე

ცხოველთა მშობიარობის შემდგომი ენდომეტრიტების დროულად გამოსავლენად და სათანადო სამკურნალო-პროფილაქტიკური ღონისძიებების განსახორციელებლად, აუცილებელია პერიოდულად ვეტერინარული დისპანსერიზაციის გეგმიური ჩატარება.

მსხვილფეხა რქოსანი საქონლის დისპანსერიზაციის ჩატარება აუცილებელი ღონისძიება უნდა გახდეს ყველა მეურნეობისთვის.

ჩვეულებრივი ტიპის მერძევეობის ფერმებში დისპანსერიზაცია, როგორც წესი შემოდგომაზე (ოქტომბერი-ნოემბერი) და გაზაფხულზე – ბაგური შენახვის პერიოდის ბოლოს (მარტი-აპრილი) ტარდება. სამრეწველო კომპლექსებსა და მსხვილ სპეციალიზებულ ფერმებში დისპანსერიზაცია ტექნოლოგიური პროცესის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. განასხვავებენ ძირითად და მიმდინარე დისპანსერიზაციას. ძირითადს ატარებენ წელიწადში ერთხელ (იანვარი-თებერვალი), მიმდინარეს (შუალედურს) კი - კვარტალში ერთხელ.

Obstetrical and gynecological dispensary for milk cow and heifer

Resume

In order to detect postpartum endometritis in animals timely and to implement appropriate treatment and prophylactic measures, it is necessary to periodically carry out planned veterinary dispensation. Cattle dispensation should become a necessary measure for all cattle farms.

In conventional dairy farms, dispensation is usually carried out in autumn – October-November, and in Spring, at the end of the period when cattle is kept in stalls – March-April. In industrial complexes and large specialized farms, dispensation is carried out as a constituent part of the technological process, dividing it into: basic and current dispensation. Basic dispensation is carried out once a year in January-February, and current intermediate - once a quarter.